საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი

სადოქტორო პროგრამა:

სამოქალაქო შენობების ინტერიერი და არქიტექტურული გარემოს დიზაინი.

სადისერტაციო თემის

საცხოვრებელი გარემოსა და ინტერიერის არქიტექტურული ფორმირების საკითხები საქართველოს მთიან რეგიონებში

(ხევსურეთის მაგალითზე)

II სემინარი

სემინარი თემაზე
ხევსურეთში არსებული საცხოვრებელი ფონდის მდგომარეობის შესწავლა-ანალიზი და სამომავლო პერსპექტივები.

დოქტორანტი: **ინგა გაბაშვილი**
ხელმძღვანელი: სტუ-ს სრ. პროფ. **მზია მილაშვილი**

თბილისი
2010

ხევსურეთში არსებული საცხოვრებელი ფონდის მდგომარეობის შესწავლა-ანალიზი და სამომავლო პერსპექტივები

ჩემი სადისერტაციო ნაშრომის ერთ ერთ მთავარ **<u>მიზანს</u>** საქართველოს მაღალ მთიან რეგიონებში, კერძდ კი ხევსურეთში, ტურიზმის ინდუსტრიის განვითარების თანმდევი მოსალოდნელი ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევისა და ლანდშაფტზე არარეგულირებული დატვირთვის გარკვეული პრევენცია წარმოადგენს, რომელიც უპირველესად რეგიონის ყოველმხრივ უნიკალური თვითმყოფადობის შენარჩუნებას ემსახურება.

აღნიშნული მიზნის განხორციელების ერთ-ერთ რეალურ გზად რეგიონში დღეისთვის არსებული საცხოვრებელი ფონდის რესურსების გამოყენება მიგვაჩნია, რაც ტურისტულ ინფრასტრუქტურაში მისი ჩართვის აუცილებლობისა და ამ დანიშნულებით არსებული ფონდის კვალიფიციურ აღდგენა- განახლება და რეკონსტრუქცია-ადაპტირების გარდა, ახალი მშენებლობების წინასწარ დაგეგმვასა და მართვასაც გულისხმობს.

ვფიქრობთ, რომ აღნიშნული მიზნის განხორციელება უპირველესად შესაძლებელია ხევსურეთის რეგიონშიდღეისთვის არსებული საცხოვრებელი ფონდის აღდგენა-ადაპტირების გზით, რაც ადგილობრივ ტრადიციების საფუძველზეშექმნილ, რეგიონს ყოველმხრივ მორგებულ,სახლი-სასტუმროების /მათ მცირე ოჯახურ სასტუმროებსაც უწოდებენ/რაციონალური არქიტექტურულ-გეგმარებითი სტრუქტურის, ინტერიერებისა თუ ექსტერიერების მხატვრულ-ესთეტიკურ გადაწყვეტას და რათქმა უნდა, მთლიანად საცხოვრებელი გარემოს ფორმირებას გულისხმობს.

გარდა ზემოთ აღნიშნული მეტად მნიშვნელოვანი მიზნისა, რაც რეგიონში ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნების პრევენციული გზების ძიებას გულისხმიბს, სავარაუდოა, რომ ტურისტის დაბინავების საკითხის, რომელიც ტურისტული ინდუსტრიის ერთ ერთ უმნიშვნელოვანესი ნაწილის – საბინაო – სამომსახურებო ინფრასტრუქტურის ძირითად ელემენტს წარმოადგენს, ამ ფორმით გადაწყვეტა- ხელს შეუწყობს არა მარტო რეგიონის მრავალმხრივი ტურისტული რესურსის გამოყენებას, არამედ ეს თავისთავად ამ რეგიონის ეკონომიკურ განვითარებისა და მიგრაციის პროცესის შეჩერების საწინდრად შეიძლება იქცეს.

საკითხის უკეთ შესწავლის მიზნით ჩვენს მიერ ერთერთ მნიშვნელოან **<u>ამოცანად</u>**მიჩნეული იქნა **<u>-ხევსურეთისრეგიონში გავრცელებული საცხოვრისის ტიპების ფორმირების, განვითარების გზებისა და ამჟამინდელი მდგომარეოობის შესწავლა-ანალიზი და შემდგომში სათანადო დასკვნების გაკეთება.</u>**

რაც განხორციელდა კიდეც,არა მარტო ლიტერატურული წყაროების, არამედ, ადგილზე ჩვენს მიერ ჩატარებული ნატურალური დაკვირვებისა და კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე.

მაგარამ, სანამ ჩატარებული ნატურალური კვლევის ანალიზს, მის შედეგებსა და დასკვნებს გაგაცნობდეთ, მინდა შემოგთავაზოთ მცირე ისტორიული ექსკურსი, რომელიც ხევსურეთის არც თუ შორეულ წარსულს და იქაური მოსახლეობის იმ დროისათვის ვფიქრობთ, პროგრესულ, ე.წ. ”პროდასავლურ” პოლიტიკურ ორიენტაციას ასახავს. რასაც დოკუმენტურად ადასტურებს ერთი საინტერესო ფაქტი, კერძოდ, *ჯერ კიდევ* ***23/VI-36წელს*** მთელი ხევსურეთის სახელით ***გივა ლიქოკელმა და ვ. გორგილაშვილმა*** წერილობით სცადეს ხმა მიეწვდინათ ოკეანის გაღმა ამერიკისათვის. ისინი ამ წერილში დაწვრილებით აღწერენ თუ როგორ ავიწროვებს ხევსურეთის მოსახლეობას ბოლშევიკური მთავრობა, როგორ უკრძალავენ მათ ქრისტიანულ რწმენას, აიძულებენ კოლექტივში გაერთიანებასა და უწესებენ დიდ გადასახადებს. წერილშივე აღნიშნულია, რომ ასეთ

მდგომარეობაში ჩავარდნილი ხევსურები დამორჩილებას არ აპირებენ და დახმარებას დიდ სახელმწიფოს ამერიკას სთხოვენ.

"ჩვენი ხევსურეთის ხალხი შეწუხებულ არს ბალშოვიკებით. გვიკრძალავენ რჯულს. უნდათ კოლხოზების გაკეთება და ბევრის ნალოგების გამორთმევა და მოდიან ხშირად გვეუბნებიან მაგრამ ჩვენ თანახმა არა ვართ მანამ სრუა დავიხოცებით მთელი ხევსურეთი თანახმად არ ვიქნებით. მართალია იარაღი კი არა გვაქვ მაგრამ ხმლითა და ხანჯრით უნდა ვიომოთ, მაგრა ამერიკას გთხოვთ დიდის თხოვნით ძრიელის სახელმწიფო ხართ და მოგვეშველენით და დახმარება გაგვიწევეთ თორე ცოდო ვართ. იმედი გვაქვს რო მოგვეშველებით თუ გვიშველით თქვენ თუ არა ჩვენი მეშველი აღარა არი. აბა ძმებო უკანასკნელს დღეში იართ ჩვენ".

მთელი ხევსურეთის წარმომადგენლები

გიგა ლიქოკელი ვ. გორგილაშვილი 23/VI-36წ

ჩვენთვის ეს ფაქტი იმდენადაა საინტერესო, რომ სავარაუდოდ, საბჭოთა რეჟიმისადმი ხევსურეთის მოსახლეობის პოლიტიკური დაუმორჩილებლობა, სხვა გარემოებებთან ერთად, მათი მთიდან აყრის ერთ-ერთი მიზეზი გახდა, ვინაიდან ხევსურთა ბარში მასიური ჩამოსახლების პროცესი, რომელიც ვითომდა მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას ისახავდა მიზნად, ზემოთხსენებული მოვლენების შემდეგ ძალიან სწრაფად განვითარდა, მასობრივად კი მეორე მსოფლიო ომის შემდგომ 1950-იან წლებიდან დაიწყო, რასაც შედეგად მაღალმთიანი სოფლების დაცარიელება მოჰყვა.

ხევსურეთში არსებული საბინაო ფონდის ამჟამინდელი მდგომარეობს შესწავლი მიზნით ჩვენს მიერ ჩატარდა ნატურალური კვლევა, რომელიც განხორციელდა 2009 წლის ზაფხულში. შესწავლილი იქნა რეგიონის 8 სოფელი (ბარისახო, ყორშა, ქობულო, ღული, ხახმატი-ნაწილობრივ-ეს რაც შეეხება პირაქეთა ხევსურეთს, ხოლო პირიქითულში-შატილი, არდოტი, მუცო) გამოკითხვის მეთოდით გავეცანით ადგილობრივი მოსახლეების ყოფით პირობებს, არაორგანიზებულად ამოსული ტურისტების დაბინავების საკითხს, მოვახდინეთ არსებული საცხოვრებელი ფონდის მდგომარეობის ფოტოფიქსაცია და მოვიპოვეთ მრავალი საინტერესო მასალა რომელთა შემდგომი კვლევა და ანალიზი სათანადო დასკვნების გამოტანის საშუალებას მოგვცემდა.

როგორც ხევსურეთში დღეისათვის არსებული მდგომარეობის შესწავლით გამოვლინდა, ამჟამად მთელ ხევსურეთში სულ 128 ოჯახი ცხოვრობს, აქედან ნაწილი სეზონურად. მათ შორის ბევრი ერთსულიანი ოჯახია.

ხევსურეთში XX საუკუნის 70-80-იან წლებში არსებულ ვითარებაზე საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის რუსი მკვლევარი ალექსანდრე კუზნეცოვი თავის 1981 წ გამოცემულ ნაშრომში «Мояхевсуретия» სადაც იგი აღნიშნავს, რომ არხოტის თემი, რომელიც უნიკალურ ადგილზე, საზღვართან მდებარეობს, ერთ დროს მჭიდროდ დასახლებული ყოფილა. II მსოფლიო ომამდე აქ 80 ოჯახს უცხოვრია, ყველა გვარს თავისი ციხე-კოშკი და მიწა ჰქონია, ხოლო 1980-იან წლებში არხოტის თემში მხოლოდ 11 ოჯახი ცხოვრობდაო.(1)

2009 წელს ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევით კი გამოვლინდა, რომ ამ თემში ამჟამად ერთადერთი მოსახლე დარჩა. სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი ვითარებაა თითქმის მთელ ხევსურეთში.

როგორც ადგილობრივი მოსახლეობის გამოკითხვამ გვიჩვენა, ხევსურეთის მოსახლეობისგან გეომეტრიული პროგრესიით დაცლის ტენდენციას, ზემოთხსენებული პოლიტიკური კატაკლიზმების გარდა, ხელი რეგიონში სათანადო სატრანსპორტო, საკომუნიკაციო და საყოფაცხოვრებო ინფრასტრუქტურის არარსებობამაც შეუწყო.

ზემოთთქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ-

დასკვნა I

წლების მანძილზე, გარდა სახელმწიფოს მიერ ე.წ.“ ცხოვრების პირობების გაუმჯობესების” მოტივით განხორციელებული მთის მოსახლეობის ბარში იძულებითი მასიური ჩამოსახლების პროცესისა, რეგიონისადმი შემდგომმა არასათანადო სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურმა მიდგომამ განაპირობა იქ დარჩენილი მკვიდრი მოსახლეობის მკვეთრი ეკონომიკურ ჩამორჩენა, რამაც თავის მხრივ ხელი შეუწყო მათი მიგრაციის პროცესის გაგრძელებასა და მოსახლეობის რაოდენობის კატასტროფულ კლებას. რასაც გარდაუვალ შედეგად რეგიონის მატერიალური და ისტორიულ-კულტურული მემკვიდროების განადგურება მოჰყვა.

ამჟამად სახელმწიფოში მოქმედი ნორმატიული თუ საკანონმდებლო მასალების გაცნობა-შესწავლამ გვიჩვენა, რომ დღეს საქართველოს მაღალმთიანი რეგიონებისადმი ქვეყნის **სახელმწიფოებრივი პოლიტიკა** რადიკალურადაა შეიცვლილი,რაც აისახება კიდეც დაგეგმილ და გასატარებელ ღონისძიებებშიც კერძოდ-(კონსტიტუციის 31-ე მუხლის მიხედვით სახელმწიფოზრუნავსქვეყნისმთელიტერიტორიისთანაბარისოციალურ-ეკონომიკურიგანვითარებისათვის. მაღალმთიანირეგიონებისსოციალურ-ეკონომიკურიპროგრესისუზრუნველსაყოფადკანონიადგენსშეღავათებს.)ითვალისწინებს საქართველოს რეგიონების თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებას. მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ -ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად კანონი მრავალმხრივ შეღავათებს ადგენს.
სახელმწიფოს მიერ **შემუშავებულია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა,**(*ალპური კონვენციის საერთო წესდება*).რომლის მიზანია კულტურული მემკვიდრეობის უნიკალურ ნიმუშთა გადარჩენა, მათი რესტავრაციის, კონსერვაციისა და რეაბილიტაციის უზრუნველყოფა, საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა (UNESCO, ICCROM და სხვა), რეგიონალური მუზეუმების რეაბილიტაცია და საქართველოსკულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია. პროგრამაში სხვა მაღალმთიან რეგიონებთან ერთად შესულია ხევსურეთის რეგიონიც. (*კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა*)
გარდა ამისა, საქართველოში ფუნქციონირებს **კანონი მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-კულტურული განვითარების შესახებ.** (*საქართ. კონსტიტ. და ალპური კონვენცია*).

საქართველოს კონსტიტუციისა და ”ალპური კონვენციის“ საერთაშორისო წესდების შესაბამისად **მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-კულტურული განვითარების შესახებ კანონის** მიზანია:

ა) **მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა;**

ბ) **მაღალმთიანი რეგიონების მდგრადი განვითარების პოლიტიკის გატარება თანამედროვე მოთხოვნებისა და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით;**

ამ დოკუმენტის მიხედვით რეგიონების განვითარების საფუძვლად მიჩნეულია:

ა) ტურიზმის, საკურორტო და რეკრეაციული მეურნეობის განვითარება;

ბ) ასევე ისტორიულ-არქიტექტურული და ბუნებრივი ძეგლების დაცვა, რესტავრაცია და ტურიზმის სამსახურში ჩართვა;

გ) მცირე და საშუალო ბიზნესისა და მეწარმეობის განვითარება, ადგილობრივი ბუნებრივი და შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენების გზით;

ზემოთხსენებული ღონისძიებები ხელს შეუწყობს:

-მოსახლეობის სტიქიური მიგრაციის შეჩერებას;

-დაცლილი და ნახევრად დაცლილი სოფლებისა და თემების აღორძინებას;

-ადგილობრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას, მრეწველობის განვითარებასა და მოსახლეობის დასაქმების დონის ზრდას;

-თვითმყოფადი ლანდშაფტებისა და ეკოსისტემების შენარჩუნებასა და მავნე ზემოქმედებისაგან დაცვას;და ა.შ.

საინტერესოა საქართველოს მართმადიდებლური ეკლესიის, კერძოდ საპატრიარქოს მიერ, რეგიონის ფუნქციის აღდგენისა და განვითარების უზრუნველსაყოფად გამოჩენილი ინიციატივა- " ახალი სოფლები". რომელიც ითვალისწინებს, თითოეულ მაღალმთიან სოფელში წინსწარ დაგეგმილ 200 ჰექტარზე 50 ახალგაზრდა ოჯახის დასახლება-დამაგრებას. დაგეგმილა საპატრიარქოს მატერიალური ხელშეწყობით მათი სახლების მშენებლობა და ახალგაზრდა ოჯახების ადგილზე ადაპტაციის პროცესის ხელშეწყობა.

დასკვნა IIზემოთთქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სადღეისოდ რადიკალურად და სასიკეთოდაა შეცვლილი მაღალმთიანი რეგიონების განვითარებისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომა. რაც უდავოა, რომ მათი განვითარების პერსპექტივის რეალურ საფუძველს წარმოადგენს.

ვინაიდან, სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკა ორიენტირებულია რეგიონებში არსებული ტურიზმის, საკურორტო და რეკრეაციული რესურსების ათვისება-გამოყენებისა და საკურორტო-ტურისტული მეურნეობისა და საერთაშორისო დონის ინფრასტრუქტურის შექმნისაკენ, ამ მხრივ ერთ-ერთ საყურადღებო რეგიონს ხევსურეთიც წარმოადგენს, რომლის ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების რაციონალური ათვისებაც აუცილებლად უნდა განხორციელდეს "ალპური კონვენციის" ერთერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნის დაცვით, რომელიც ეფუძნება მეტად მნიშვნელოვან და საყურადღებო მოთხოვნას, რომ- "ტურიზმის განვითარებამ საფრთხე არ უნდა შეუქმნას მთიანი რეგიონების კულტურული მემკვიდრეობის, აგრეთვე, ადგილობრივ მოსახლეობაში გავრცელებული ტრადიციული ხალხური რეწვის დარგების შენარჩუნებას. კონფლიქტი მთების დაცვის აუცილებლობასა და სამთო ტურიზმს შორის უნდა გადაწყდეს გარემოს დაცვის ნორმების ფარგლებში".

არსებული საერთაშორისო ტურისტული პრაქტიკის სესწავლაც გვიჩვენებს, რომ ეს მეტად მნიშვნელოვანი და გარდაუვლად გასათვალისწინებელი საკითხია, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი მცირე და უნიკალური ლანდშაფტის მქონე ქვეყნისათვის როგორიც საქართველოა. ამიტომ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ-

დასკვნა III:ტურიზმის განვითარებასთან ერთად, ერთერთი მნიშვნელოვან და აუცილებლად გასათვალისწინებელ პირობას წარმოადგენს რეგიონის ეკოლოგიური წონასწორობის, მისი თვითმყოფადობის და გარემო ლანდშაფტზე დატვირთვის რეგულირების საკითხის ყოველმხრივ უზრუნველყოფა.

დღეს საქართველოში, ოფიციალურად, ტურიზმის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, 103 კურორტი, 30 საკურორტო ზონა და რაიონია. ძალიან ბევრია ტურისტული ობიექტები, რომლებიც მთელ საქართველოშია გაბნეული და ბევრი მათგანი უკვე ტურისტულ აქტიურ მარშრუტებშიც ზის.

ხევსურეთი შედის მცხეთა-მთიანეთის რეგიონში. რომლის ტურისტულ ცენტრებად ითვლება: მცხეთა, ბაზალეთი, ჟინვალი და ყაზბეგი. ამ ტერიტორიაზე გაყვანილია გზები, მეტნაკლებად განვითარებულია ინფრასტრუქტურა, მაგრამ ხევსურეთში ჯერჯერობით ეს ტენდენცია ნაკლებად შეინიშნება. მიუხედავად ამისა

აქ მაინც ხდება რეგულარულად ტურისტების მიღება. ხევსურეთში შეიძლება ტურიზმის სხვადახსვა სახეობის განვითარება.

კერძოდ: კულტურული ტურიზმი.

ამ ადგილებში კარგი პოტენციალი აქვს სალაშქრო, საცხენოსნო ტურიზმის და ჯიპტურების მოწყობას.

მუცოში და სამძივარისგორაზე შემორჩენილია წინა ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები (მტკვარარაქსის კულტურა);

ბუნებაში მოგზაურობისა და ეკოლოგიური ტურიზმით დაინტერესებულ პირებს, ხევსურეთი საინტერესო ბუნების ძეგლებს სთავაზობს. ხევსურული ტრადიციები და ყოფითი წეს-ჩვეულებები, ხალხური რეწვა და ფოლკლორი კარგ საშუალებას იძლევა აქ სასოფლო ტურიზმის განვითარებისთვის.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებამდე რუსეთში იყენებდნენ ამ მრავალფეროვან ტურისტულ რესურსს და ხევსურეთის სოფლები აქტიურად იყო ჩართული რუსეთისტურისტულ მარშრუტებში.

ხევსურეთის რეგიონში არსებული ტურისტული რესურსების შესწავლა - გამოყენების თვალსაზრისით, ჩატარებული ნატურალური და სხვა სახის კვლევების შედეგად გამოვლენილი იქნა საყურადღებო ფაქტები, კერძოდ:-

1. ადგილზე ჩვენს მიერ შესწავლილ იქნა ამჟამად ამ რეგიონში შემომავალ ტურისტთა რაოდენობაც და მათი ტიპებიც; გამოვლინდა ინდივიდუალურად და ჯგუფურად შემოსულ ტურისტთა ორი ძირითადი ტიპი -"ორგანიზებული" და "არაორგანიზებული" ტურისტები. ტურისტების ორგანიზებული ჯგუფების ორგანიზება ხდება ტურ-სააგენტოების ტუროპერატორებისმიერ, მაცხოვრებლების აქტივობის შედეგად. ინდივიდუალურია - თავისით სხვადასხვა ხერხებით მოძიებული მარშრუტების გამოყენებით, (ინტერნეტი, გზამკვლევი და ამ სახისსხვა ლიტერატურა, აგრეთვე სხვათა გამოცდილებაზე დაყრდნობით. 2 ან რამდენიმე ადამიანი).

2. ვინაიდან აქ მოსახლე ოჯახები ზაფხულში, სეზონურად, თითქმის ყოველდღიურად იღებენ ადგილობრივ თუ უცხოელ ტურისტებს, მათი გამოკითხვის შედეგად შესაძლებელი გახდა გარკვეული ინფორმაციის მოპოვება და მათი სისტემატიზაცია. ჩვენს მიერ კვლევის პერიოდად აღებულ უკანასკნელი 5 წლის (2006-2010 წ.წ.) მანძილზე, შემოსული ტურისტების რაოდენობის შესახებ მონაცემების ანალიზმა გვიჩვენა, რომ რეგიონში არაორგანიზებულ და ორგანიზებულ ტურისტთა ჯამური რაოდენობის დინამიკა 2006-2009 წლების პერიოდში მატებისაკენ იყო მიმართული. 2010 წლისთვის დაიკლო. მოპოვებული მონაცემები ასახულია ცხრილი № 1-ში.

ცხრილი №1

სოფ. როშკაში ივლის-სექტემბერში შემოსული ტურისტების სტატისტიკური მონაცემი ბოლო 5 წლის განმავლობაში მოსახლეების გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით										
თვე	2006		2007		2008		2009		2010	
	ინდივიდუალური ტურისტი	ორგანიზებული ტურით	ინდივიდუალური ტურისტი	ორგანიზებული ტურით	ინდივიდუალური ტურისტი	ორგანიზებული ტურით	ინდივიდუალური ტურისტი	ორგანიზებული ტურით	ინდივიდუალური ტურისტი	ორგანიზებული ტურით
ივლისი	20	12X1	25	10X1	65	20X2	82	20X3	30	25X1
აგვისტო	22	20X1	35	20X1	70	20X2	80	20X3	20	20X1

სექტემბერი	8	8X1	5	11X1	10	15X1	20	10X1	5	8X1

3. კვლევის შედეგად აგრეთვე გამოვლინდა, რომ არსებული საცხოვრებელი ფონდი, რომელიც სრულიადაც ვერ აკმაყოფილებს ელემენტარულ საყოფაცხოვრებო მოთხოვნებს, მაინც წარმოადგენს რეგიონში შემოსულ ტურისტთა ერთადერთ საცხოვრებელ ადგილს (კარვების გარდა).

4. კვლევის შედეგად დადგინდა ისიც რომ, ხშირად, რადგან რეგიონში მოსახლეობა ძალიან მცირეა, ტურისტთა რაოდენობა უფრო მეტია, ვიდრე მათი განსათავსებელი ადგილები. ამასთან,მთელი ხევსურეთის მასშტაბით სულ 4-5 ოჯახს აქვს ამისთვის აუცილებელი მატერიალური ბაზა;

5. ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა არსებული ტურისტულ-საექსკურსიო მომსახურების სახეები, მათი მოცულობა;მომსახურეობაში ჩართული მოსახლეობის რაოდენობა და ტურისტთა მისაღებად მათი მზადყოფნა თეორიული მომზადების თვალსაზრისით;

ჩვენს მიერ ჩატარებული ნატურალური კვლევის შედეგად მიღებული მრავალმხრივი მონაცემების დეტალური ანალიზი, სემინარის თემატიკიდან გამომდინარე, ამჟამად არ განიხილება და ისინი წარმოდგენილი იქნება დისერტაციაში.

მაგ. სოფლებში – კონკრეტ. როშკაში, 5 წლის მანძილზე შემოსულ ტურისტთა შემოდინების დინამიკას დავაკვირდით და შედგა გრაფიკი.ეს მონაცემები შეიძლება განვაზოგადოდ ს. ყორშასა და შატილზეც.

2006 – 2010 წლებში ს.როშკაში წლების და თვეების მიხედვით შემოსულ ტურისტთა დინამიკა ასეთია:



ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ

დასკვნა IV: ხევსურეთი რეგიონში ტურისტთა სტაციონალურად განთავსების ერთადერთ ადგილს საცხოვრებელი ფონდი წარმოადგენს, და რომ საცხოვრებელ ფონდს არსებული ვითარებიდან გამომდინარე, დაეკისრა ტურისტის მიღება-დაბინავების დამატებითი, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი ფუნქცია.

შესაბამისად, ჩვენს მიერ მეტად მნიშვნელოვან ამოცანად იქნა მიჩნეული რეგიონში ამჟამად არსებული საცხოვრებელი ფონდის დღევანდელი მდგომარეობის ადგილზე შესწავლა, თუნდაც რამდენიმე სოფლის მაგალითზე, იმ მიზნით, რომ გავცნობოდითაქ არსებული საცხოვრებელი სახლების ტიპებს და განგვესაზღვრა მათი გამოყენების სამომავლო პერსპექტივები.

ნატურალური კვლევის შედეგების ანალიზი საინტერესო იყო იმ მხრივაც, რომ სამომავლოდ სწორედ მათ საფუძველზე უნდა ჩამოყალიბდეს სათანადო რეკომენდაციები და წინადადებებისაცხოვრებელი ფონდის რეკონსტრუქცა-ადაპტირებისა და პრეოექტირებისათვის.

ამ მიზნით ჩვენს მიერ 2009 წელს განხორციელდა ნატურალური კვლევა პირაქეთა ხევსურეთის სოფლებში: - ბარისახო, ქობულო, როშკა, ნაწილობრივ ხახმატში და ღულში. ხოლო პირიქითა ხევსურეთის სოფლებში:- მუცო, შატილი, არდოტი.

მოხდა სხვადასხვა ტიპის საცხოვრებელი სახლების არსებული მდგომარეობის ფოტოფიქსაცია. ნახ. N2. (აღნიშნული ფოტოები ნაწილობრივ კომისიის თხოვნოთ I სემინარზე ნაჩვენები იქნა, თუმცა არ მომხდარა მათი დეტალური ანალიზი და კვლევის შედეგების განხილვა)

შემდეგ ეტაპზე, მოპოვებული მასალის ანალიზის საფუძველზე,მოვახდინეთ ამჟამად (2009 წ.) <u>**რეგიონში არსებული სახლების ტიპების კლასიფიკაცია.**</u>

კლასიფიკაციის საფუძვლად გამოვიყენეთლ.სუმბაძის მიერ საცხოვრებელი სახლების ტიპების ტიპოლოგიურად დაჯგუფებისთვის შემუშავებული კრიტერიუმები, კერძოდ:- აშენების პერიოდი და არქიტექტურულ-გეგმარებითი სტრუქტურული სქემა.. გარდა ამ კრიტერიუმებისა <u>**რეგიონში არსებული სახლების ტიპების** კლასიფიკაციაში</u> ჩვენს მიერ გაკეთებული ფოტოფიქსაციის მასალების გამოყენებით აისახა მათი ამჟამინდელი მდგომარეობა (**მთლიანად შემონახული**, **ნაწილობრივ დანგრეული** და **მთლიანად დანგრეული**).

ყველა ამ კრიტერიუმების შეჯერების შედეგად ჩამოყალიბდა არსებული საცხოვრებელი შენობების ტიპთა შემდეგი კლასიფიკაცია:

I. <u>**უძველესი ციხე-კოშკები**</u>იგივე "ქვითკირი" . შემორჩა მხოლოდ პირიქითა ხევსურეთში, კერძოდ:- შატილში, მუცოში, ხახაბოში, ქაჩუში, არდოტში და კიდევ რამოდენიმე სოფელში.

ეს სახლები საცხოვრებელი ფუნქციის გარდა თავდაცვით ფუნქციასაც ასრულებდნენ. ხშირად ისინი 4-5 სართულიანი იყო. ქვედა I-II სართულზე საქონელი იყო განთავსებული, 3 და 4-სართულებზე ადამიანები ცხოვრობდნენ და ზამთრის მარაგს ინახავდნენ. მე-5სართულს თავდაცვითი ფუნქცია ჰქონდა. ეს სახლები XVI-XVIII სს-ებს განეკუთვნება.

ადრეულ ისტორიულ წარსულში, პირაქეთა ხევსურეთში მეფის წინააღმდეგ აჯანყების დროს ისინი მთლიანად განადგურდა დაშემდგომში აღარც აშენებულა, რადგან დაკარგა თავის პირვანდელი თავდაცვითი ფუნქცია, თუმცა ტურისტულ მარშრუტებში ისინი შესაძლებელია შეტანილი იქნეს როგორც ისტორიული ძეგლები.

სადღეისოდ რეგიონში შემორჩენილი კოშკები თავიანთი ფიზიკური მდგომარეობის მიხედვით შესაძლებელია დაიყოს შემდეგ ჯგუფებად:-

1.პირვანდელი სახით შემონახული- ციხე-კოშკების დაახლოვებით 35% (ს. მუცო, ქაჩუ, ხახაბო).

2.კონსერვირებული.- 20% (ქისტანი, ქაჩუ, ლებაისკარი- ეს მთელის დაახლოვებით მეხუთედია), ხოლო

3.რესტავრირებული- 30% (შატილის ძველ ნაწილში, ისტორიული საცხოვრებელი კოშკები).

4.რესტავრირებული და საცხოვრებლად ადაპტირებული.-15% (ესეც შატილის ძველ ნაწილში, ისტორიული საცხოვრებელი კოშკები).

II. "ბან-კალოიანი" სახლი- უფრო გვიანი პერიოდის მაგრამ ასევე ძველიXVIII-XIXსს-ის ტრადიციული საცხოვრებელია, ის რელიეფზე სამ სართულზე ტერასულადაა განლაგებული. ყველა სართულის გადახურვა მომდევნოსთვის ბანია, მეორე სართულის ბანი კალოა. I სართული ერთდროულად ბოსელს და საცხოვრებელ სათავსსაც წარმოადგენს. მთლიან განაშენიანებას რაც შეეხება წინა მოსახლის სახლიც ასევე ტერასულად ებმის მომდევნო მოსახლისას და ქვედას სახურავი მომდევნოსთვის ბანია, მთელი სოფელი ხშირად ერთობლიობაში ერთიან ტერასულ კომპლექსს ქმნის. კალოიანი სახლის არქიტექტურულ-გეგმარებითი სტრუქტურა და მისი თავისებურებების შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია ჩემს I სემინარზე და საკონფერენციო თემაშიც ვრცლად იქნა წარმოდგენილი.

ფოტოფიქსაციის და ადგილზე კვლევის შედეგების საფუძველზე ამ ტიპის სახლები მათი ფიზიკური მდგომარეობის მიხედვით დავყავით რამოდენიმე ჯგუფად.

ჩვენს მიერ შესწავლილი კალოიანი ტიპის 34 სახლიდან დღეს:

1. **მთლიანად დანგრეული - 7** (გარჩევა შესაძლებელია მხოლოდ საძირკვლის აბრისით).
2. **ნახევრადდანგრეული - 5**
3. **შემონახულია- 22**.

შემონახული სახლები თავის მხრივ დავყავით ჯგუფებად, რომელშიც:

ა) ცხოვრობენ– **11-ში** - 50%

ბ) არ ცხოვრობენ - 50%.



	სახლის მდგომარეობა 2009 წლისთვის		
№	სახლის ტიპი	სახლების რაოდენობა	პროპორციული შეფარდება %
1	ტრადიც. კალოიანი სახლების მთლიანი რაოდენობა	**34**	**100%- დან**
2	შემონახული სახლი	**22**	**65%**
3	ნახევრადდანგრეული სახლი	**5**	**15 %**

4	მთლიანად დანგრეული სახლი	7	20 %

შენიშვნა: არდოტში კალოიანი სახლების მხოლოდ ნასახლარებია შემორჩენილი ბევრია მთლიანად დანგრეული, უკანასკნელი მაცხოვრებლის მერე ალბათ 100 წელია გასული. შეიძლება მათი კუთვნილება მხოლოდ თაობიდან-თაობაზე გადმოცემით იცოდნენ და არა კონკრეტული პატრონებით.

<u>III. ფშაური ტიპის ე.წ."საბძლური" სახლები.</u>რომელიც გარდამავალი ტიპის შენობას წარმოადგენს და ძირითადად მიღებულია ძველი ტიპის -კალოიანი სახლის გადაკეთების გზით.

გამოვლინდაამ ტიპის სახლების ორი ქვეტიპი-

1. **გალერეული სახლი I ქვეტიპი–** სადაცზედა სართულზე განლაგებულია საბძელი და საცხოვრებელი სათავსოები, ქვედა სართულზე კი მხოლოდ ბოსელი.
2. **გალერეული სახლი II ქვეტიპი – სადაც** ქვედა სართულზე გამოსაზამთრებელი ბუხრიანი საცხოვრებელი სივრცია, იქვე კედლით გამოყოფილია ბოსლი. მეორე სართულზე განლაგებული საზაფხულო საცხოვრებელი სივრცე ასრულებს ადამიანისა და საქონლის საკვები მარაგის შესანახი სათავსის როლსაც.

ფოტოფიქსაციისა და ადგილზე კვლევის შედეგებს საფუძველზე თავიანთი ფიზიკური მდგომარეობის მიხედვით ამ ტიპის სახლები შესაძლებელია დაიყოს:

ა. შემონახული-80%
ბ. ნახევრად დანგრეული -20%და
გ. დანგრეული -0%.

ჩვენს მიერ სულ გამოკვლეულია 3 სოფელში (ბარისახო, ქობულო, ყორშა),8 სახლი, რომელთაგან

1. ცხოვრობენ- 60%-ში
2 არ ცხოვრობენ - 40%-ში.

<u>IV. ახალი ტიპის სახლი,</u> რომელიც გასული საუკუნის ბარის სოფლებში გავრცელებული სახლების სახეშეუცვლელ ასლს წარმოადგენს, ამიტომ მას ლ. სუმბაძე "ბარულ" სახლს უწოდებს.(5)ამ ტიპის სახლის არქიტექტურულ-გეგმარებით სტრუქტურაში არ არის ასახული მთის რეგიონისათვის დამახასიათებელი სპეციფიკა. ამ ტიპის სახლებშიც ორი ქვეტიპი იქნა გამოვლენილი:

1. **გალერეული ტიპის I ქვეტიპი -** ერთსართულიანი, ოროთახიანი. ორქანობიანი სახურავით, ბუხრით ან მის გარეშე (თუნუქის ღუმელით). თუნუქის გადახურვაით, ბლოკის კედლები.
2. **გალერეული ტიპის II ქვეტიპი-** აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული ჩვეულებრივი ორსართულიანი სახლი. ასევე თუნუქის გადახურვაით, ბლოკის კედლები.

ფიზიკური მდგომარეობის მიხედვით ამ ტიპის სახლები შესაძლებელია დაიყოს:

ც. შემონახული-90%
დ. ნახევრად დანგრეული -10%და
ჰ. დანგრეული -0%.

ჩვენს მიერ სულ გამოკვლეულია 3 სოფელში (ბარისახო, ქობულო, ყორშა), 8 სახლი, რომელთაგან

1. ცხოვრობენ- 80%-ში
2 არ ცხოვრობენ - 20%-ში.

V. **ე.წ. "ფინური სახლი"**–ხის სახლები რომლებიც90-იან წლებში აშენდა. შ. ბარისახო, ყორშა, როშკა, ახალი შატილი (მდინარის გადაღმა)კომბინირებული მასალით – ცოკოლი ბეტონის და ზედა ნაწილი ხის ფიცრებით. I სარდაფის სართული მარაგის შესანახი, მეორე საცხ. ნაწილი. ზედა საბძელი.

ფოტოფიქსაციის და ადგილზე კვლევის შედეგების საფუძველზე დადგინდა რომ ასეთი სახლების საერთო რაოდენობიდან, გამოკვლეულ5 სოფლში შეადგენს მთელი საცხოვრებელი ფონდის 10%-ს. აქედან ყველა**შემონახულია.**

ა. ცხოვრობენ- 65%

ბ. არ ცხოვრობენ -35%-ში.

გამოკვლევებით გამოვლინდა ის გარემოებაც რომ ძალიან ხშირად ახალ სახლებთან იქვე, გვერდზე ვხვდებით ძველ ტრადიციულ სახლსაც, რომელსაც მობინადრეები ხშირად სამეურნეო სათავსებად იყენებენ.

VI. **ტიპი -საპროექტოებში დაპროექტებული** საცხოვრებელი სახლებია -1970-72წწ სახელმწიფო ინიციატივით და შემდეგ რეალიზებული ს.გუდანში და ს. შატილში. სოფლების - შატილისა და გუდანის განაშენიანების პროექტები გაკეთდა ინსტიტუტ "საქსახსოფლმშენპროექტის" მიერ (ავტორთა ჯგუფი ი. მარგიშვილი, გ. მჭედლიშვილი, დ. მორბედაძე, ნ. დვალი, ზ. გონგაძე). ხოლოსოფელ ბისოსა და ხახმატის განაშენიანების პროექტები საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საპროექტო ბიუროს (ავტორთა ჯგუფი ვ. დავითაია, შ. ბოსტანაშვილი, მ. გუგუნავა) მიერ იქნა დამუშავებული.

სამწუხაროდ, ცნობილი ისტორიული კატაკლიზმების გამო სოფელ ბისოსა და ხახმატის განაშენიანების პროექტები არ განხორციელებულა

მთელი შატილის ამჟამად საცხოვრებლად გამოსადეგი ფონდიდან დაახლოვებით 60%ს მოიცავს ახალი შატილის განაშენიანება.

გუდანში კი ასეთი სახლები მთელი განაშენიანების 80%-ს შეადგენს.

1970-71 წლებში საპროექტოშიშემუშავებული იყო სახლის 4 ტიპი. ყველა ზემოთხსენებული პროექტი ითვალისწინებდა რეგიონის სპეციფიური თავისებურებათა კომპლექსს.

არქიტექტორებმა შეინარჩუნეს ძველი ტრადიციული სახლის სამ სართულზე განაწილების სქემა. სახლს გააჩნდა შიდა ეზო საზაფხულო სამზარეულოთი და სამეურნეო დანიშნულების სათავსებით.გეგმარებაში გაითვალისწინეს ე. წ. სენე (რძის პროდუქტის შესანახი სათავსი), სახლს ასევე მიაკუთვნესდიდი სამეურნეო ეზო და ა.შ..

იმ დროს ამ სახლებში რა თქმა უნდა ვერ იქნებოდა გათვალისწინებული სადღეისოდ სრულიად ახალი ისეთი შეთავაზება, როგორიცაა რეგიონის საკურორტო-ტურისტულ- რეკრეაციული რესურსის გამოყენება და სათანადო ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნისათვის საცხოვრებელი ფონდის ჩართვა-საოჯახო სასტუმროების სახით.

ამჟამად ეს სახლებში შენარჩუნებულია ნორმალური საცხოვრებელ პირობები და მათ დიდ ნაწილში სეზონურად ცხოვრობს მკვიდრი მოსახლეობა. ყველა მათგანი შენარჩუნებულია.

რაც შეეხება შატილის სახლებს, მათში:

ა. ცხოვრობენ- 95%

ბ. არ ცხოვრობენ -5%-ში

გუდანში:

ა. ცხოვრობენ- 70%

ბ. არ ცხოვრობენ -30%-ში



(კვლევისათვის საჭირო ინფორმაცია მოწოდებულია ხევსური ეთნოგრაფის- ივ. წიკლაურის და მკვიდრი მხატვარ-ფოტოგრაფის შოთა წიკლაურის მიერ2009-2010 წწ-ს)

დასკვნა:- ზემოთ განხილული მასალიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ხევსურეთის რეგიონში ამჟამად არსებული საცხოვრებელი სახლები შესაძლებელია დაიყოს ექვს განსხვავებულ ტიპად, რომელთაგან ნაწილი ტრადიციულ ხევსურულ საცხოვრისს (მაგ...) წარმოადგენს და მორგებულია რეგიონის დამახასიათებელ ბუნებრივ-კლიმატურ თუ სამეურნეო პირობებს, ხოლო ნაწილი შედარებითი ახალია (მაგ....) და ნაკლებადაა ადაპტირებული კონკრეტული რეგიონის თავისებურებათა კომპლექსისათის.

ხევსურეთში არსებული საცხოვრებელი ფონდის მდგომარეობის შესწავლის მიზნით ჩვენ აგრეთვე გავეცანით **განხორციელებული პროექტების ექსპლუატაციის ამჟამად არსებული მდგომარეობასაც.**

მიუხედავად იმისა რომ დაპროექტებული სახლების ნაწილი აშენდა სახელმწიფოს ხარჯებით იმ პერიოდში ბარში ადაპტირებული მოსახლეობა გარკვეული გარემოებების გამო თავიანთ სახლებს არ დაბრუნებია.

აღსანიშნავია, რომ დღეისთვის გარკვეული გამოცოცხლება შეინიშნება, როგორც შატილში, ისე გუდანშიც. სადაც, როგორც შატილში, 1970-71 წლებში

აშენებულ სახლებსა და მათ სამეურნეო ნაწილში მოსახლეობა აწყობს საოჯახო სასტუმროებს.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ სამწუხაროდ ეს პროცესი ქაოტურად მიმდინარეობს მოსახლეობის მიერ ხორციელდება ამ შენობების დაუგეგმავი, კუსტარული მასალებითა და ხერხებით, გადაკეთება-ადაპტაცია. ეს კი უარყოფითად აისახება განაშენიანების როგორც გარე იერსახეზე, ასევე შიდა გარემოზეც. დაირღვა მთლიანობა, ინტერიერებმაც არაესთეტური და მოუწესრიგებელი იერ-სახე მიიღო.

ჩვენს მიერ გამოკითხვის მეთოდით (გამოიკთხულია 3 სოფლის, 5 მაცხოვრებელი) გავეცანით სახლებში ტურისტთა განთავსების დროს წარმოქმნილ პრობლემებს. გამოკითხულ მაცხოვრებელთა გარკვეული რაოდენობა 90% აღნიშნავს, რომ ტურისტული სეზონის განმავლობაში, ერთ სახლში ტურისტებისა და მაცხოვრებლების ერთდროულად განთავსებისას აუცილებელი ხდება მათი საძინებელი ადგილების გადაადგილება, ჩვეულებრივი ყოველდღიური, ყოფითი, საოჯახო-სამეურნეო საქმიანობის შეზღუდვა-სახეცვლილება, რაც ორივე მხარისათვის გარკვეულ დისკომფორტს ქმნის.

ჩვენს მიერ ასევე შესწავლილი იქნა შატილის ძველი ისტორიული ნაწილის რესტავრირებული შენობების ექსპლუატაციის დროს გამოვლენილი დადებითი თუ უარყოფითი შედეგები.

შატილში ტურისტთა განთავსებისათვის გამოიყენება არა მარტო საცხოვრებელი სახლები, არამედ, ხევსურეთის ძველ, ისტორიულ ზონაში არსებული საგვარეულო კოშკებიც, ზოგიერთ მათგანში მოწყობილია ოჯახური სასტუმროები.

შატილის კოშკების, რესტავრაციის შემდგომ თვითნებურად განხორციელდა მათი ადაპტაცია, რომელთა შედეგები არაა დამაკმაყოფილებელი. კოშკების უმეტესობა გარედან რესტავრირებულია, მაგრამ ბევრგან შიდა სივრცეებში გაკეთდა კაფელით მოპირკეთებული სველი წერტილები, ზოგან კი ქვის წყობა გაილესა, ინტერიერები ადგილობრივი მოსახლეების გემოვნებითაა მოწყობილი. ტექნოლოგიურადაც ბევრი ლაფსუსია. რამაც ნაწილობრივ დაარღვია ამ ისტორიული და არქიტექტურული ძეგლის შიდა სივრცის იერსახე.

ამასთან, უდაოდ, დადებით ტენდენციად უნდა იქნეს მიჩნეული, ის რაც ადგილობრი მოსახლეობის გამოკითხვით დადგინდა, კერძოდ- ბოლო პერიოდში (იგულისხმება ბოლო 5 წელი) ძველ თაობასთან ერთად, ახალგაზრდებსაც გაუჩნდათ მამა-პაპისეულ სამშობლოში - ხევსურეთში დაბრუნებისა და ცხოვრების გარკვეული მოტივაცია– ტურიზმის განვითარებით მათთვის ჩნდება რალური შემოსავლის წყარო. ეს კი კარგი მიზეზია იმისა, რომ ისინი დაუბრუნდნენ, მოუარონ და თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენონ საგვარეულო სახლები და კოშკები.

ამავე მიზეზით დანარჩენი ხევსურეთისთვისაც ერთგვარ იმედედ ჩაისახა მათი დაბრუნების სამომავლო პერსპექტივა. მართალია ეს ამჟამად მხოლოდ ზაფხულის სეზონზეა შესაძლებელი, მაგრამ ზამთრის სეზონის ტურების ჩართვაც ამის კარგ პერსპექტივას იძლევა.

სამომავლოდ, რალური მოტივაციის არსებობის შემთხვევაში, მკვიდრი მოსახლეების ისტორიულ მიწა-წყალზე დაბრუნების საკითხთან დაკავშირებით ჩვენს მიერ შატილში, ადგილზე 9 მოსახლის გამოკითხვით დადგინდა, რომ მკვიდრი მოსახლეობის 80% სეზონურად ჩამოდის, 20% კი მუდმივად აქ ცხოვრობს.

ამავე მოტივით ჩვენს მიერ გამოკითხული იქნა ქ. თბილისში მაცხოვრებელი 30-მდე ხევსური. საყურადღებოა, რომ მათგან 50%ს, მატერიალური შემოსავლის არსებობის შემთხვევაში, სურვილი აქვს იცხოვროს თავის მამა-პაპისეულ ადგილებში, რადგან ის მენტალურად ისევ მიბმულია თავის მიწა-წყალთან, მას ისტორიულ სამშობლო კუთხესთან ქვეცნობიერი კავშირი ჯერ არ გაუწყვეტია და შესაბამისად აქვს დაბრუნების კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი მოტივაცია.. ეს მეტად საყურადღებო ფაქტია, რადგან დროთა განმავლობაში ასეთი ადამიანების რაოდენობა უთოოდ შემცირდება, თუკი დროულად არ იქნება გამოყენებული ტურიზმის განვითარების, როგორც რეგიონის გადარჩენის ერთ ერთი მეტად მნიშვნელოვანი რესურსი.

გამოკითხულთა 20% პროცენტი საერთოდ არ ფიქრობს დაბრუნებას;

15% დასაბრუნებლად ელოდება საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის შემდგომ განვითარებას და ამ პირობით შესაძლებლად მიაჩნია დაბრუნებაზე ფიქრი.;

10% მართალია უკმაყოფილოა, რომ მათ სოფელს პირვანდელი სახე და სული დაეკარგა, თუმცა მიუხედავად ამისა ის სეზონურად მაინც იცხოვრებდა აქ.

არის კიდევ გამოკითხულთა ერთი კატეგორია 4 ახალგაზრდა,10 საშუალო ასაკის, და 5 საშუალო ასაკს გადაცილებული არახევსური პირებიდან საშუალოდ 35%-მა აღნიშნა, რომელნიც სიამოვნებით დასახლდებიან იქ და ამ რეგიონის რესურსს გამოიყენებენ.

დასკვნა VI: ყოველივე ეს საშუალებას გვაძლევს <u>დავასკვნათ,</u> რომ ტურისტების განთავსებისა და მათი სათანადო მომსახურებით უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია რეგიონში არსებული საცხოვრებლი ფონდის ადაპტირება ან /და გარემოზე კარგად მორგებული სათანადო ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით ახალი საცხოვრებელების პროექტირება, რაც უდაოდ ხელს შეუწყობს რეგიონში ადგილობრივი მოსახლეობის დამაგრებასაც.

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, შესაძლებელია ნათლად ჩამოყალიბდეს ჩვენი კვლევის საბოლოო <u>**მიზნები:**</u>

-საკითხის საფუძვლიანი და ყოველმხრივი - შესწავლა-ანალიზის საფუძველზე განისაზღვროს ხევსურეთში არსებული საცხოვრებელი ფონდის შემადგენლობაში შემავალი სახლების ის კატეგორიები, რომლებიც შეიძლება შენარჩუნდეს პირვანდელი სახით, რესტავრირდეს ან რომელი ტიპები შესაძლებელია იქნეს აღდგენილი და ადაპტირებული, თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით ისე, რომ ერთდროულად შესაძლებელი იყოს ტურისტების მიღება- დაბინავება და მუდმივი მაცხოვრებლების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.

- ჩამოყალიბდეს სათანადო რეკომენდაციები და წინადადებები ასეთი სახლებისპროექტირებისა და ადაპტციისათვის.

- რეგიონისათვის დამახასიათებელი კლიმატური, სოციალურ-დემოგრაფიული, ტრადიციული სამშენებლო თუ სხვა პირობების კომპლექსის გათვალისწინების საფუძველზე ახალი სახლების ტიპებისათვის განისაზღვრეოს მშენებლობის დისლოკაციის სავარაუდო ტერიტორიები.

ეპილოგის მაგიერ- ვხუჭავ თვალებს და ვხედავ ახალ არხოტს, პირველ რიგში ეს არის მოწესრიგებული თანამედროვე გზების და ელექტრო კომუნიკაციით დასერილი სივრცე, გრძელი გვირაბი რომლიდანაც შემოედინება მაანქანები. ძველი

სოფელი ახიელი იქცა მუზეუმად, მის ერთერთ ციხე-კოშკ "ქვითკირში" განთავსებულია ექსპოზიცია საქართველოს, ხევსურეთის, არხოტის ისტორიის შესახებ. ცოტა მოშორებით ოტელია სპორტსმენებისთვის და ტურისტებისთვის, სამთო-სათხილამურო საბაგირო თავისი შეკიდებული სავარძლებით, დიდი სასრიალო ტრასა. ადამიანები დაუბრუნდნენ მამა-პაპისეულ მიწებს და ნასახლარების ადგილზეა ახალი სახლები. მაგრამ ეს ერთი უკიდურესობაა.

რა თქმა უნდა, დღევანდელი ხელუხლებელი ბუნებით და შუასაუკუნეებიდან მომზირალი არხოტი უფრო სულიერი და ახლობელია, მაგრამ უნდა გამოინახოს რაღაცა საშუალო არითმეტიკული. ბუნების სილამაზისკენ, მის ხელშეუხებლობისკენ უნდა მივიდეთ სხვა გზით, უნდა გავუფრთხილდეთ, მოვუაროთ, ჩავწვდეთ მას, ისევე როგორც ისტორიის და კულტურის ძეგლებს. მაგრამ არ მივატოვოთ იგი და შევინარჩუნოთ მისი ეთნოგრაფიული იერი. საქართველოს არ აქვს იმის ფუფუნება შეინახოს მკვდარი ტერიტორიები.

ასე, რომ არასწორი მიმართულებით აღდგენა –განახლებას კიდევ უფრო დიდი ზიანის მიყენება შეუძლია, ვიდრე ობიექტის ხელუხლებლად დატოვებას. არის მოსაზრება და პოზიციაც, "დაველოდოთ უკეთეს დროებას". ნაკრძალის სტატუსის მინიჭება ხშირად გამოსავალია ასეთ სიტუაციებში.

ხევსურეთში არსებული ტრადიციული ბან-კალოიანი ტიპი სახლების მდგომარეობა

(2009 წლისთვის მდგომარეობის შესწავლითა და მეპატრონის მონაცემებით)

შემდგენები: გოგი ლიქოკელი, ივანე წიკლაური.

პირობითი აღნიშვნები: ◻ - მთელი სახლი

└┘ - ნახევრად დანგრეული სახლი

L - დანგრეული სახლი

N	სოფლის სახელი	სახლის პატრონი	სახლის მდგომარეობა	შენიშვნა
	აჭე	დათო ლიქოკელი	◻	
	ქობულო	გოგი ლიქოკელი	L	
	ქობულო	ჩალხა ლიქოკელი	L	
	ჭალისოფელი	გიგია ლიქოკელი	└┘	
	ჭიე	ლუკა ჭინჭარაული	◻	ხევსურულ სახლს აქვს ბანზე დაშენებული სახლი
	დათვისი	მიხეილ არაბული	L	
	ჩირდილი	არსენა არაბული	└┘	ბანი ჩაქცეულია, კედლები დგას.
	ბუჩუკურთა	ხახონა გოგოჭური	└┘	
	ბარისახო	გაგა არაბული	◻	ნაწილი ბანიანია ნაწილი სახურავით გადახურული.
0	როშკა	მიხეილ წიკლაური	◻	კალო არა აქვს
1	როშკა	ივანე წიკლაური	L	
2	ბლო	ჩაჩაურ გიგაური	◻	
3	ბაცალიგო	ყუდია არაბული	└┘	ბანი ჩაქცეულია, კედლები არის
4	ატაბე	კვირია გოგოჭური	◻	ცხოვრობს ძველ სახლში, შიფერი აქვს დაფარებული
5	ხადუ	ნოდარ არაბული	◻	ცხოვრობს ძველ სახლში, ეხლა დაბრუნდა, შიფერი აქვს დაფარებული

6	წინხადუ	თოთია არაბული	□	სახლი თითქმის მთელია
7	ხახმატი	ბეწიკუა ალუდაური	□	სახლი მთელია
8	ლებაისკარი	გიორგი ჭინჭარაული	L	სახლი დანგრეულია
9	კისტანი		L	ყველა სახლი დანგრეულია
0	გიორგიწმინდა	ირაკლი გოგოჭური	□	ამ სახლში ცხოვრობენ
1	მუცო	რაუდენ დაიაური	□	მთელია
2	არდოტი	ნიკო არდოტელი	□	მას სანახევროდ აღდგენილი აქვს-ნაწილი ბანიანია, ნაწილი სახურავით.
3	ანდაქი	ლევან ზვიადაური	□	მან აღადგინა სახლი და ცხოვრობს შიგ.
4	არჭილო	ნიკალა ზვიადაური	□	ბიჭები დაბრუნდნენ შარშანწინ და აღადგინეს შიფერით ბანიანად.
5	ხახაბო	ბადრი მინდიკაური	□	ცხოვრობენ
6	ხახაბო	პაატა ხახიაური	□	ცხოვრობს
7	ხონისჭალა	ხახონი შეთეკაური	□	ცხოვრობს
8	ხონე	შამილ შეთეკაური	L	
9	ხონე	ვეფხია შეთეკაური	□	ცხოვრობს
0	ახიელი	ზელიმხან ოჩიაური	⊔	ბანია ჩანგრეული
1	ახიელი	ლევან ჯაბუშანური	□	მთელია
2	ამღა	გოგი წიკლაური	□	მთელია, (უნცრუა ცხოვრობდა ამ სახლში)
3	ამღა	ობოლა წიკლაური	□	მთელია, ცხოვრობენ.
4	ჭიმღა	უნახკა გიგაურის-გიგა გიგაური (მესაზღვრე).	□	ეხლა ღვთისო ოჩიაური ცხოვრობს(დასაზუსტებელია).

შენიშვნები: არდოტში მაგალითად ნასახლარები ბევრია, მაგრამ ძალიან დანგრეულია, ალბათ 100 წელია უკვე, შეიძლება მამისშვილობით იცოდნენ და არა კონკრეტული პატრონებით, ასეა ბევრგან. სიპერდიანი სახლები იყო ხონე-ხონისჭალაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

(1)-АлександрКузнецов «МояХевсуретия»
(2)- (Л.Сумбадзе. Типология грузинского народного жилища - тбилиси 2008 стр.20)
(3)- http://ru.wikipedia.org/wiki